ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის შესახვედრად

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ПРОЛЕТАРИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 253 (13338) | სამშაბათი, 26 ოქტომბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

მეჩაიეთა გმირობა

მოკრეფილია 185.700 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი

სასიხარულო ჰაფაკი

შვიდწლედის მანძილზე საქართველომ ჩვენს ქვეყანას მისცა 1.177.900 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 130.900 ტონით მეტი, ვიდრე შვიდწლიანი გეგმით იყო გათვალისწინებული.

★ ★

მოგილოცავთ გამარჯვებას, ჩვენო სახელოვანო მეჩაიეებო!



ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებიდანვე ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთლისათვის. არახელსაყრელი ამინდის — ცივი გაზაფხულისა და გვალვიანი ზაფხულის მიუხედავად რესპუბლიკის მეჩაიეებმა შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს. წვიმაში, ქარსა და სიცხეში იბრძოდნენ ისინი მეტი ჩაის ფოთლისათვის. ეს გამარჯვება ბუნების ჭირვეულობაზე გამარჯვებაც არის.

საქართველოს მეჩაიეთა ეს წარმატებანი დიდი საჩუქარია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII და ჩვენი რესპუბლიკის კომპარტიის მომავალი ყრილობისადმი.

აი ისინი, რესპუბლიკის მოწინავე მეჩაიეები: (ზევიდან) მახარაძის რაიონის შრომის კოლმეურნეობიდან ჰ. კვაჰანტირაძე, ქობულეთის რაიონის ალამბრის კოლმეურნეობიდან ე. გოგიტიძე და წალენჯიხის რაიონის ლიის კოლმეურნეობიდან ნ. სამუშია. თვითეულმა ხუთ-ხუთი ტონა „მწვანე ოქრო" მისცა სამშობლოს.

ფოტო ი. შაქარიშვილისა, ვ. დუბინინისა და ბ. სოკოლოვისა.

საქართველოს მეჩაიეთა დიდი გამარჯვება

საქართველოს მეჩაიეებმა დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს — წარმატებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა.

წლევანდელი წლის განსაკუთრებით არახელსაყრელი ამინდის — ცივი გაზაფხულისა და გვალვიანი ზაფხულის მიუხედავად საქართველოს ჩაის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებით, **25 ოქტომბრისათვის მოკრიფეს და გადამუშავებელ მრეწველობას ჩააბარეს 185.700 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 185 ათასი ტონისა.**

„მწვანე ოქროს" კრეფაზე განსაკუთრებით კარგად იშრომეს **აჭარის** მეჩაიეებმა, რომლებმაც გეგმის გადამეტებით ვალდებულებით გათვალისწინებული 1.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე აჭარაში 5 ათას კილოგრამს აღემატება.

გეგმა და ვალდებულება წარმატებით შეასრულეს აგრეთვე **მახარაძისა** და **წალენჯიხის** რაიონების მეჩაიეებმა. გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით მოკრიფეს ნედლეული **წყალტუბოს, ცხაკაიას, ტყიბულის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, ხობის, გეგეჭკორისა** და **სამტრედიის** რაიონების მეჩაიეებმა. ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შეასრულა **ზუგდიდის, ლანჩხუთის, წულუკიძის, აბაშისა** და ზოგიერთმა სხვა რაიონმა.

შვიდწლედის მანძილზე რესპუბლიკამ ჩვენს ქვეყანას მისცა 1.177.900 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 130.900 ტონით მეტი, ვიდრე შვიდწლიანი გეგმით იყო გათვალისწინებული. საქართველოს ჩაის ფაბრიკებმა უზრუნველყვეს მთელი მოკრეფილი ჩაის შეუფერხებლად მიღება და გადამუშავება.

ეს შრომითი გამარჯვება შედეგია პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდი ორგანიზატორული მუშაობისა, კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, ჩაის მრეწველობის მუშაკების თავდადებული შრომისა, რომლებიც წარმატებით იყენებდნენ მოწინავე აგროტექნიკასა და ჩაის მოვლა-მოყვანის შრომატევადი პროცესების მექანიზაციას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური დავალება, ღირსეული საჩუქარი მოუმზადეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობას.

მეჩაიეთა საპატიო მოვალეობაა წარმატებით შეასრულონ აგრეთვე ლაო-ჩაის და საპირე მასალის დამზადების სახელმწიფო დავალება. (საქდესი).



სურათზე: ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა ზუგდიდის რაიონის ინგირის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში. წინა პლანზე — მექანიზატორი სერგო აფხაზავა, რომელიც ამოწმებს „საქართველოთი" მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გმირ ქალაქ კიევში

კიევი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს კიევში მყოფი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ლ. ი. ბრეჟნევი უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პ. ე. შელესტის, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. ვ. შჩერბიცკისა და პარტიის კიევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ი. დროზდენკოს თანხლებით ეწვია უკრაინის სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სინთეზური ზესალი მასალებისა და ინსტრუმენტის სამეცნიერო-საკვლევ საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტს.

ინსტიტუტის დირექტორმა სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ნ. ბაკულმა სტუმრებს უამბო, რომ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში პრაქტიკულად იყენებენ სინთეზურ ალმასებს, რაც დიდ ეფექტს იძლევა. მან განაცხადა, რომ ინსტიტუტში წარმოებს ალმასის პასტების სამრეწველო გამოშვების ათვისება.

ინსტიტუტის დათვალიერების შემდეგ სტუმრები გაეცნენ ალმასების წარმოებას.

იმავე დღეს ლ. ი. ბრეჟნევი, უკრაინის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ვ. გ. კომიახოვი, დ. ს. კოროტჩენკო, ა. პ. ლიაშკო, ნ. ა. სობოლი, პ. ე. შელესტი, ვ. ვ. შჩერბიცკი, ვ. ი. დროზდენკო, ი. ს. გრუშეცკი, ა. დ. სკაბა ეკვნენ მარადიული დიდების პარკში, სადაც უცნობი ჯარისკაცის საფლავზე აღმართულია დიდებული გრანიტის ობელისკი. ობელისკი, რომელიც უკრაინელმა ხალხმა აღმართა იმ მეომართა ნათელი ხსოვნის დიდი პატივისცემის ნიშნად, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სოციალისტური სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. სიმბოლურად გამოხატავს ბრძოლა არმიის უკვდავ საგმირო საქმეებს დიდი სამამული ომის წლებში. ძეგლის კვარცხლბეკთან, ბრინჯაოს გვირგვინის ცენტრში მარადიული ცეცხლი ანთია.

გმირთა ხსოვნის პატივსაცემად მოვიდნენ აგრეთვე უკრაინის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები, რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები, სსრ კავშირისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, დელეგაციათა წევრები, რომლებიც ზეიმზე ჩამოვიდნენ კიევში.

პარკის მთავარი ხეივნის გაყოლებით, სადაც უკრაინის დედაქალაქისათვის ბრძოლების გმირები არიან დაკრძალული, ჩამწკრივდნენ კიევის გარნიზონის ქვეგანაყოფები. ძეგლთან საზეიმო დუმილით გაირინდა სამამული ყარაული.

სამგლოვიარო მარშის ხმებში ლ. ი. ბრეჟნევი, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და წევრობის კანდიდატები გაემართნენ უცნობი ჯარისკაცის საფლავისაკენ. მათ გვირგვინთ შეამკეს საფლავი სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით. გვირგვინის ლენტზე წარწერილია: „სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაიღუპნენ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, გმირი ქალაქის კიევის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში".

საფლავი გვირგვინებით შეამკეს აგრეთვე უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, უკრაინის კომპარტიის კიევის საოლქო კომიტეტისა და საოლქო აღმასკომის, გმირი ქალაქის კიევის მშრომელთა, უკრაინის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, კიევის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს სახელით. გვირგვინები მოიტანეს აგრეთვე გმირი ქალაქების მოსკოვის, ლენინგრადის, ვოლგოგრადის, სევასტოპოლისა და ოდესის, გმირი ციხესიმაგრის ბრესტის, აგრეთვე ხარკოვისა და ერევნის დელეგაციებმა.

სამგლოვიარო მელოდიას ცვლის საბჭოთა კავშირისა და უკრაინის სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნების დიდებული ხმები. გრიალებს სალუტის ზალპები.

მოსკოვში ჩამოვიდნენ ამხანაგები ტოდორ ჟივკოვი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 25 ოქტომბერს მოსკოვში მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ივკო ივკოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბოიან ბელგარსკი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სტანკო ტოდოროვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტანო ცოლოვი.

შეხვედრებზე ბულგარელ ამხანაგებს შეხვდნენ ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. კოსიგინი, ი. ვ. ანდროპოვი და სხვა ოფიციალური პირები.

სკკპ ცკ-ის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

ელმავალმშენებელთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე

ნათელი სამომავლო პროგრამით შეიარაღა ჩვენი ქვეყნის მრეწველობის მუშაკები სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა.

როგორ ვიმუშაოთ პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად? რა კონკრეტული ამოცანების გადაჭრა მოუწევთ საწარმოს პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს, მთელ კოლექტივს? — აი სწორედ ამ საკითხებზე გაიმართა გუშინ დიდი მსჯელობა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა და ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მეჟავანაძე.

აქტივის კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს: ელექტრო-სამანქანო საამქროს უფროსმა **გ. კერესელიძემ**, საამბარატო საამქროს უფროსის მოადგილემ **ე. იზაკოვიჩმა**, ელექტრო-სამანქანო საამქროს ადუღებ-ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირმა **გ. აბიაშვილმა**, მთავარი ტექნოლოგის მოადგილემ **ბ. ნანიმ**, ქარხნის დირექტორის მოადგილემ, მთავარმა ეკონომისტმა **ბ. ვართანოვმა**, ქარხნის დირექტორმა **გ. სამხარაძემ**.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ დასახა ღონისძიება და გამოთქვა რწმენა, რომ თბილისელი ელმავალშენებლები ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების საქმეში, ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდებიან სკკპ XXIII და საქართველოს კპ XXIII ყრილობებს.

ვაშა თქვენ, თქვენს შრომას, ჩვენო მეჩაიეებო!

სიუხვისათვის მოლაშქრენი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აჭარის მშრომელთა პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია. განსაკუთრებით უნდა ითქვას, მეჩაიეებზე, რომლებმაც შესანიშნავი ტრადიცია დაიმკვიდრეს. ისინი სახელმწიფო გეგმებს მუდამ ვადამდე გადაჭარბებით ასრულებენ.

ასევე მოხდა შვიდწლედის დამამთავრებელ წელსაც. მიუხედავად ცუდი ამინდისა, ბათუმის რაიონმა ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ჯერ კიდევ 11 სექტემბერს შეასრულა, ხოლო აჭარამ — 25 სექტემბერს. მოიკრიფა 30.678 ტონა.

ჩვენი მეჩაიეები ამ წარმატებას როდი დასჯერდნენ. მათ იკისრეს სეზონის დამთავრებამდე მთლიანად მოეკრიფათ 32 ათასი ტონა ფოთოლი. ვალდებულება შესრულდა. წლიური გეგმის ზევით მოიკრიფა 1.500 ტონა „მწვანე ოქრო“.

აჭარელ მეჩაიეთა ასეთი წარმატება განაპირობა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ახლებურად მოწყობამ, კომუნისტებისა და უპარტიო მასების შემოქმედებითმა შრომამ, მეცნიერების მიღწევების, მოწინავე გამოცდილების დანერგვამ.

ჩაის კულტურა აჭარელ მეჩაიეთა სიამაყეა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სოფლის მშრომელთა სიმდიდრის დაუშრეტელი წყაროა. ჩაის პლანტაციებს ოლქში 6.277 ჰექტარი უჭირავს. წელს ჰექტარზე საშუალოდ 5.110 კილოგრამი ფოთოლია მიღებული.

უხვი მოსავალი მხოლოდ ბუნების წყალობით როდია მიღებული. აქაურ მშრომელებს წელს დიდი ბრძოლა მოუხდათ პირველულ ამინდთან. ისინი წვიმაში, ქარში პლანტაციებში იყვნენ, არ აკლდნენ ბუჩქებს მზრუნველ ხელს. პლანტაციებში ყველა სამუშაო აგროვადებში ჩატარეს. ამასთან ერთად მეჩაიეებისათვის შექმნილი იყო მუშაობის ნორმალური პირობები.

გონიოს, ჩაისუბნის, პირველი მაისის, ციხისძირის, კვირიკეს, ალამბრის, ქაქუთის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა, ახალშენის და სხვა საბჭოთა მეურნეობებმა წელს ისე მოაწყეს მუშაობა, რომ შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად გაადიდეს ფოთლის მოსავლიანობა. სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობა აჭარაში ერთ-ერთი მოწინავეა. აქ წელს უნდა მოეკრიფათ 750 ტონა ჩაის ფოთოლი. ეს დავალება სასახელოდ შეასრულეს. მოკრიფეს 800 ტონა „მწვანე ოქრო“. კოლმეურნეობაში ყველას აკობა იმ ბრიგადამ, რომელსაც ხ. გვარიშვილი ხელმძღვანელობს. აქ ჰექტარზე საშუალოდ 8.300 კილოგრამი ფოთოლი ჰიიღეს. კოლმეურნეებმა ა. ცივაძემ, ქ. გოგატიძემ ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ორმაგად შეასრულეს.

ახლა ვერ ნახავთ ბრიგადას, რგოლს, რომ იქ სახელოვანი მეჩაიეები არ იყვნენ. აჭარაში ვინ არ იცნობს დარეჯან ქათამაძეს, ემინე ზაქარიაძეს და ბევრ სხვას. ალამბრელმა მეჩაიემ მარიამ ბარათაიამ ჰექტარზე მიიღო 14.000 კილოგრამი ფოთოლი. ამავე კოლმეურნეობის წევრმა ნაზი მიქელაძემ კი 0,8 ჰექტარზე 13.800 კილოგრამი მიიღო. ასევე გაითქვეს სახელი ხუცუბნელმა მეჩაიემ შ. შავაძემ, ალამბრელმა ფ. ჯაფარიძემ, ლეონელმა ილია ტაგიძემ და სხვებმა.

არა მარტო ცალკეულმა მეჩაიეებმა, არამედ მერგოლურებმაც ისახელეს თავი. ალამბრის კოლმეურნეობის იმ რგოლმა, რომელსაც ჩ. გოგიძე ხელმძღვანელობს, ჰექტარზე საშუალოდ 8.600 კილოგრამი ფოთოლი მიიღო. ფოთლის უხვი მოსავალი მიიღეს აგრეთვე ჩაისუბნის კოლმეურნეობის მერგოლურმა მ. დავითაძემ და სხვებმა.

საერთო წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანეს მექანიზატორებმა. ფოთლის გასხვლა, ნიადაგის დამუშავება და მოელი რიგი სხვა სამუშაოები მანქანით შესრულდა.

აჭარელმა მეჩაიეებმა თავიანთი სახელოვანი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის მეჩაიეთა გამარჯვებაში. ახლა ისინი იმისათვის იბრძვიან, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწიონ ჩაის სიუხვისათვის საერთო ლაშქრობაში, მისცენ დედა-სამშობლოს რაც შეიძლება მეტი სურნელოვანი ჩაი.

ამინდის ჭირვეულობა დაძლიეთ

რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. ეს საქართველოს მეჩაიეთა დიდი გაძარჯვებაა. ისეთი ცუდი ამინდი, როგორიც წელს იყო, არ გვახსოვს, მაგრამ ამინდის ჭირვეულობა დაძლიეთ.

რესპუბლიკის საერთო წარმატებაში ცხაკაიელ მეჩაიეებსაც მიუძღვით წვლილი. ცხაკაიელებმა ხომ პირველად უპატაკეს სამშობლოს წლიური გეგმის შესრულება. ამით სამართლიანად ვამაყობთ. ვალდებულების ანგარიშშიაც დიდი მიღწევები გვაქვს.

პირადად მე მოვკრიფე და ჩავბარე 7.500 კილოგრამზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს წლიურ გეგმას 4.500 ტონით აღემატება.

დიდია ჩვენი სიხარული. აღფრთოვანებული ვართ ამ საერთო გამარჯვებით, გადაწყვეტილი გვაქვს ახალი გამარჯვებებით კვლავაც ვასახელოთ ჩვენი მშობლიური რაიონი, სამშობლო.

ტატიანა ტყებუჩავა,
ცხაკაიის რაიონის ზანის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ნოვატორი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

მიღწეული ფლვარი როდია

ბრიგადა, რომელსაც 25 წელია ვხელმძღვანელობ, ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებს ჩაის, სიმინდის, ყურძნის, აბრეშუმის პარკის წლიურ გეგმებს. მაგრამ ბრიგადის შემოსავლის ძირითადი წყარო მაინც ჩაის კულტურაა.

წელს ჩაის ფოთლის კრეფისათვის ამინდის მეტად არახელსაყრელი პირობები იყო. მაგრამ ჩვენი მეჩაიეები ყოველგვარ ამინდში კრეფდნენ „მწვანე ოქროს“. შედეგიც სასახელოა. 5 სექტემბრისათვის სამშობლოს ვუპატაკეთ წლიური გეგმის შესრულება, დღეისათვის კი ვალდებულებაც განადდებული გვაქვს. სულ მოგკრიფეთ 115 ტონაზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 7.200 კილოგრამს მიაღწია.

ბრიგადის რგოლმა, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ლუბა სახოკია ხელმძღვანელობს, გეგმის ზევით 10 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

თამარ ყუფუნია,
ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი.

ვეტერანი მეჩაიეები, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია (ზუგდიდის რაიონი), სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ჩხაიძე და ნადია მამეიშვილი (მახარაძის რაიონი) კვლავ ჩაის ფოთლის სიუხვისათვის მებრძოლთა ავანგარდში დგანან.

სურათზე: ტ. ჩხაიძე, ნ. მამეიშვილი და თ. ყუფუნია.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

ხელით, მანქანებით...

ი. ჩიქავა,
საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი.

უამინდობის გამო ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი გვიან დავიწყეთ. ამას დაემატა ხანგრძლივი გვალვები, გვალვებს — შემოდგომის კოკისპირული წვიმები. თანაც აცივდა. მიუხედავად ამისა, ჩვენმა მეჩაიეებმა ნამდვილი მრომითი გმირობის მაგალითი გვიჩვენეს. გადაჭარბებით შეასრულეთ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოიკრიფა და მრეწველობას ჩაბარდა 23.770 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული, წლიური გეგმა კი 23.765 ტონის მოკრეფას ითვალისწინებდა.

ამაყოფილებთ შეიძლება ითქვას, რომ „მწვანე ოქროს“ დამზადების შვიდწლედის ბოლოსთვის გათვალისწინებული ზუფდ რაიონის მეჩაიეებმა ორი წლით ადრე აიღეს. სახელმწიფოს მიეყიდა 2 ათასი ტონით მეტი ჩაის ფოთოლი. ვიდრე ამას შვიდწლედის გეგმა ითვალისწინებდა.

ეს წარმატებები პირველ რიგში განაპირობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შემდეგ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ახლებურად მოწყობამ, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებამ. პარტიის რაიონული კომიტეტი, მისი მეორო ყოველთვის იყო ახლის, პროგრესულის დანერგვის ორგანიზატორი.

დიდი დახმარება გაგვიწია მანქანებით კრეფამ, რაიონის 1.342 ჰექტარ ჩაის პლანტაციებში 137 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ მუშაობდა.

ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა მსოფლიოში ერთადერთი მეურნეობა, რომელმაც ჩაის კულტურის მოვლა-მოყვანისა და ფოთლის კრეფის მექანიზაციის მაღალ დონეს მიაღწია. აქ აიღეგა ფეხი და დაეყარაცადა ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“. შარშანდელთან შედარებით „საქართველოთი“ აღებულია 105 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი. მაღალ ნაყოფიერებას მიაღწიეს სახელოვანმა მექანიზატორებმა სერგო აფხაზავამ, ზაურ გოგომეძ, გუდუ ზარქუამ, გურამ გუგეჩიამ და სხვებმა.

კოლმეურნეობებიდან ყველაზე მეტად შეიყვარეს ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ ინგირის კოლმეურნეობაში. აქ ეგემით მოსაკრეფი 1.090 ტონა ჩაის ფოთლის მნიშვნელოვანი ნაწილი მწვანე პლანტაციების ხომალდებმა მოკრიფეს, რამაც განაპირობა გეგმის შესრულება.

დაწინაურდა ჯიხაშკარის კოლმეურნეობა, რომელმაც რაიონში პირველმა შეასრულა ფოთლის კრეფის წლიური გეგმა და ნაკისრი ვალდებულება. მოკრეფილი ფოთლის 80 პროცენტი პირველი ხარისხისაა, ხოლო საშუალოდ ჰექტარზე 4.880 კილოგრამი ფოთოლი მიიღეს.

დიდი შრომა გასწიეს ქკადუაშის კომენსტური შრომის, ნარაზენის, ოდიშის, კორცხელის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა. მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ნედლეულის კრეფის წლიური დავალება.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის თავდადებული მუშაობა. ამ მეურნეობას ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ანთიმოზ როგაკა ხელმძღვანელობს. მეურნეობა წლების განმავლობაში ჩამორჩენილად ითვლებოდა. ამ უკანასკნელ წლებში კი მოწინავე მეურნეობის რიგებში ჩადგა. ხეცერელებმა გეგმით გათვალისწინებული 1.770 ტონის ნაცვლად 1.800 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“ მოკრიფეს.

სამაგალითოდ შრომობენ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის იმ ბრიგადის წევრები, რომელსაც ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია ხელმძღვანელობს. ბრიგადამ წლიური გეგმა და ვალდებულება გაანაღდა.

მეტი ჩაისათვის ლაშქრობაში თავი გამოიჩინეს მეჩაიე ნოვატორებმა: სოციალისტური შრომის გმირებმა ოლია ყუფუნიამ, ლილი რეგვამ, ნათელა გეთიამ, ციალა გულორდავამ, ლაისა ბაპაკაძ, დინარა ახალაიამ და სხვებმა. ისინი და ბევრი სხვა მზეშიც და წვიმაშიც ჩაის ფოთლის კრეფის დავალებას გადაჭარბებით ასრულებდნენ.

ჩაის ფაბრიკებმა დიდი წვლილი შეტანეს ამ სახალხო ლაშქრობაში. მათ გადაამუშავეს 23.770 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული. დაწინაურდნენ ორკონიკიძის (დირექტორი ა. ჯანაშია), ნარაზენის (დირექტორი ბ. გრიგოლია) და ინგირის (დირექტორი ა. შონია) ჩაის ფაბრიკები, რომლებმაც ათეულ ათასობით მანეთი მოგება მისცეს სახელმწიფოს.

ახალ ხუთწლედში სერიოზული ღონისძიებები განხორციელდება. ჩაის ფოთლის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებისათვის განზრახული გვაქვს გავაშენოთ ჩაის ახალი ჰექტარები. ეს დიდ შრომასთან არის დაკავშირებული. ასევე გაიზრდება ჩაის ფოთლის მოსავლიანობა ჰექტარზე. მთავარია კომპლექსური მექანიზაციის სრულყოფილად დანერგვა. განსაკუთრებით უნდა დაენერგოთ მანქანებით კრეფა ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, სადაც კი ამის შესაძლებლობა არის. აგრეთვე ვითვალისწინებთ სარწყავი სისტემის მოწყობას 2 ათას ჰექტარ პლანტაციებში. ეს უნდა გაკეთდეს 1966-1967 წლებში, რაც ადაწყვეტს მეტი ჩაის ფოთლისათვის ბრძოლის პრობლემას ჩვენს რაიონში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმით აღფრთოვანებული ზუგდიდის რაიონის მეჩაიეები ენერგიულად შრომობენ იმისათვის, რომ ახალ-ახალი გამარჯვებებით შეხვდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას, საქართველოს კომპარტიის მომავალ ყრილობას.

ბეგმაც, ვალდებულებაც

შვიდწლედის დამამთავრებელ წელს არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად ჩვენმა მეჩაიეებმა ჩაის მოსავლიანობის გადიდების საქმეში წარმატებას მიაღწიეს, ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ჯერ კიდევ 7 ოქტომბრისათვის შეასრულეს. მოიკრიფა 36.280 ტონა „მწვანე ოქრო“. ეს მახარაძელ მშრომელთა დიდი გამარჯვება იყო. ამ წარმატებას არ დასჯერდნენ მახარაძელი მეჩაიეები და იკისრეს სეზონის დამთავრებამდე ბეგმის გადამეტებით მოეკრიფათ 600 ტონა ფოთოლი.

სიტყვა რომ არ გაეტეხათ, მეჩაიეები წვიმასა თუ ქარში მუდამ პლანტაციებში იყვნენ და კრეფდნენ ფოთოლს. ბეჯითმა შრომამ თავისა გაიტანა. უკვე გადაჭარბებით შესრულდა ვალდებულებაც, მოიკრიფა 780 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 600 ტონისა.

მეტი ფოთლისათვის საერთო ლაშქრობაში თავი გამოიჩინეს მთისპირის, ლაშის, ღეაბზუს, მზიანის, მშვიდობაურის, განახლების, ნაგომრის, ლიხაურის, შრომისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა, ლაითურის, ნასაკირალის, ნარუჯის საბჭოთა მეურნეობებმა.

წელს კვლავ გვასახელა ნოვატორმა ქალმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

ა. გოგბრონიძე,
მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ტატიანა ჩხაიძემ. მას მუდამ პლანტაციაში ნახავდით, წვიმაშიც, ქარშიც მონდომებით კრეფდა ფოთოლს. მან 10.260 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ მოკრიფა, ხოლო მისი რგოლის წევრებმა 36 ტონის ნაცვლად 45 ტონაზე მეტი.

მახარაძეში ყველა ექებს მარჯვენას სოფელ ძიმითის კოლმეურნეობის წევრს, სოციალისტური შრომის გმირს საშა ქურციძეს. იგი ყოველწლიურად ფოთლის უხვ მოსავალს იღებს. მას შვიდწლედის დამამთავრებელ წელს ვალდებულებით უნდა მიეღო ცხრა ათასი კილოგრამი „მწვანე ოქრო“. ვალდებულების შესრულება რაიონში როგორც ყველას, ისე ქურციძესაც ძნელ პირობებში მოუხდა.

ათიათასა სამასი კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი ცხრა ათასისა! — ასეთია ძიმითელი მეჩაიის საშა ქურციძის შრომითი წარმატება.

სოფელ ძიმითის კოლმეურნეობაში ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში დიდი წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე მარგალიტა მგელაძემ, თამარ ტუღუშმა, სოციალისტური შრომის გმირმა ელპიტე მგელაძემ და მრავალმა სხვამ.

მახარაძელ მეჩაიეთა წარმატებაში გარკვეული წვლილი მიუძღვით რაიონის საწარმო-დაწესებულებებს, მუშა-მოსამსახურეებს, დიასახლისებს, მოსწავლეებს. როცა ფოთოლი უხვად იყო და მეჩაიეები კრეფას ვერ ასწრებდნენ, მაშინ ისინი პლანტაციებში იყვნენ და მეჩაიეებთან ერთად უდანაკარგოდ იღებდნენ „მწვანე ოქროს“. ასევე უნდა ითქვას მეზობელი რაიონების შესახებაც, რომლებმაც დახმარების ხელი გამოგვიწოდეს და რამდენიმე ათეული ტონა ფოთოლი მოკრიფეს.

ფოთლის მოკრეფა ერთია, მაგრამ მთავარია მისი გადამუშავება. მახარაძის რაიონის ჩაის ფაბრიკებს რომ დროულად არ მიეღოთ ზომები და ბეჯითად არ ემუშავნთ, ცხადია, ამდენი ფოთოლი შეუფერხებლად როდი გადამუშავებოდა. ფაბრიკების მუშაკებმა იმუშავეს მონდომებით, ფოთოლი მიიღეს დაბრკოლებლად და გადაამუშავეს ისე, რომ მათზე საყვედური არავის ეთქვამს.

მახარაძელთა ეს წარმატება თავისთავად როდი მოსულა. რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა, კომუნისტებმა, სპეციალისტებმა, განსაკუთრებით კი მეჩაიეებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ თავი არ შეეჩვენინათ სამშობლოს წინაშე, დაძლიეს ბუნების ჭირვეულობა და ცუდ ამინდშიც ბუჩქებისათვის მზრუნველი ხელი არ მოუკლიათ.

ასეთმა გმირულმა შრომამ შესაძლებლობა მოგვცა სამშობლოსათვის გეგეპტაკანა გამარჯვება და გადაჭარბებით შეგვესრულებინა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმაც და ვალდებულებაც.

მახარაძელი მეჩაიეები ახლა მომავალი წლის უხვი მოსავლის მიღებაზე ფიქრობენ. იმედი გვაქვს, რომ 1966 წელს დედა-სამშობლოს უფრო მეტ ჩაის ფოთოლს მივცემთ და ამით ღირსეულ წვლილს შევიტანთ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ამ სახელოვანი მარცხენივ) და ზ. ჯალაღონია.
ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).
და ა. ჩარკვიანისა.

ხალხი უმღერის

მაგ თითებს ვენაცვალები

მაგ თითებს ვენაცვალები,
დაძერწილს სახთელივითა.
პლანტაციების დედოფალს
შეგამკობ ლეკსის მძივითა.

შენს ღიმილს სულში ჩავიძვრენ,
შენს თვალებს ვაქცევ ხატებად.
დილით რომ მიხვალ ჩაიზე,
ჩემი ამბორი დაგხვდება.

რ. ჩხარტიშვილი.

ეს გული ფეთქავს სიამით

თავს დასტრიალებ აქოჩრილ ლორთქოს,
ვით მინდვრის ყვავილს ბეპელა ბრეული,
ელვის თითებით ჰკრეფ მწვანე ოქროს...
ხალხის დოვლათს მკი გამრჯელი ხელით.

შენით დამთვრალი გკოცნის ნიავი
და ცხრათვალა მზე გელამუნება...
გიყურებ, გული ფეთქავს სიამით
და ჩემთან ერთად ხარობს ბუნებაც.

ო. ღვინჯილია.

თვალქუქუნა

ამოქარგული ჩაის ბუჩქებით
ხალიჩებივით ჩანან ქედები,
გულს შრომის ცეცხლი შემოგგზნებია...
ნუთუ სხვა არის სადმე ედემი!?

დასტრიალებენ ბუჩქებს მტრედებად
ქალიშვილები თვალებქუქუნა,
მათი ტრფიალი ცასაც ედება,
მთამ შრომის ჰანგი დაიგუგუნა.

თ. ხინთიბიძე.



მწვანე ოქროს დიდოსტატი

— მართალია, მჯობნის მჯობნი არ დაილევა, რაიონშიც ბევრი „ახალი ნონა“ გამოჩნდება, მაგრამ... მერე ჩვენ რა?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მაშინ, 1962 წლის დამდეგს, კოლმეურნეობის ახალ თავმჯდომარეს, რესპუბლიკის დამსახურებულ აგრონომს გიორგი გაბიძაშვილს მოუხდა.

გამოცდილი კაცია გიორგი. ადამიანებს ესაუბრა, ეთათბირა, ვის მივუჩინოთ ახალ ნონა გურეშიძის ნაკვეთი.

როცა ეს ნაკვეთი ოლიაუშვერიძეს შესთავაზეს, ზოგმა თქვა, ნონას შრომაში ვერ გაუტოლდებაო.

მაშინ, 1961 წელს, ოლია უშვერიძეს ოთხი ტონა ჩაი ჰქონდა მოკრეფილი, ხოლო ნონა გურეშიძეს — ექვსი ტონა.

საქმე ეს ციფრები როდია. მთავარია მონდომება. თუ ერთმა შეძლო, ყველა შეძლებს, — მტკიცედ დასაკვნა თავმჯდომარემ. — შეძლებით კი შეკვლებ, — მორცხვად მიუგო ოლიამ, — მაგრამ...

— რა მაგრამ, თუ შეძლებ, კიდევაც ჩაიბარე ნაკვეთი, — აღარ დააცალეს სხვებმა სიტყვის დამთავრება.

— მაგრამ, — განაგრძო ოლიამ, — განა მიჩნილმა ნაკვეთმა გახადა ნონა გურეშიძე სახელოვან მეჩაიედ? არა, პირიქით, ნონამ გადაალეცია ნაკვეთი სამაგალითოდ, უხვმოსავლიანად.

თორმეტი წელია ერთსა და იმავე 0,5 ჰექტარ პლანტაციას ვუვლი, და ყოველწლიურად სულ უფრო მეტ ჩაის ფოთოლს ვკრეფ. მე ისევ ჩემთვის მიჩნეულ ნაკვეთზე ვიმუშავებ.

— სწორია, — დაეთანხმნენ ოლიას.

— თუ ნონამ ექვსი ტონა მოკრიფა, მეც ამდენს მოვკრეფ. აქ შეუძლებელი რა უნდა იყოს!

თქვა ოლიამ, და კიდევაც აასრულა — იმ წელს 6.035 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

1963 წელს 7.000 კილოგრამის მოკრეფა იკისრა, 7.756 კილოგრამი კი დაასვავა. ამიერიდან ოლია უშვერიძის სახელი შორს გასცდა სოფელ გუმბრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას, წყალტუბოს რაიონსაც.

მიღწეული ზღვარი როდიაო, თქვა ოლიამ, და შარშან კიდევ ერთი ტონით მეტი ნედლეულის მიღება იკისრა.

ბეჯითად და შეუპოვრად, საქმის დიდი სიყვარულითა და ჩვეული ოსტატობით დაიწყო ბრძოლა დამოცდილმა მეჩაიემ ამ ახალი ვალდებულების შესასრულებლად.

ჯერ კიდევ შემოდგომაზე ოლია უშვერიძე ნაკვეთში ტრაილებდა. დროულად დაამთავრა ნიადაგის გადაბარვა, თანაც ფოსფორიანი სასუქი და კალიუმი შეიტანა. ადრე გაზაფხულზე კვლავ პლანტაციაში გაჩნდა. ბუჩქების გასხვლა-გაფორმებას ვადაზე მორჩა. თებერვლის ბოლოდან ივლისის დამდეგამდე ნიადაგი ხუთჯერ გააფხვიერა, ორჯერ აზოტიანი სასუქით გამოკვება.

ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც სხვა მეზობელი პლანტაციები, ოლიას ნაკვეთიც გვალვის პერიოდში მექანიკური დაწვიმებით ირწყვება.

ამ ღონისძიებებმა, ცალცალკე და ყველამ ერთად, დადებული პირობები შექმნა ჩაის ბუჩქის განუწყვეტელი ვეგეტაციისათვის. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა აღარ იყო ლაპარაკი ფოთლის ეგრეთწოდებულ პირველ და მეორე თაობაზე, პლანტაციის შესვენებაზე.

ყოველდღიურად იყო საკრეფი ფოთოლი ნაკვეთში და ოლია უშვერიძეც ყოველდღე კრეფდა, ყოველგვარ ამინდში, დარსა თუ ავდარში.

აბა იანგარიშეთ — დღეში ხომ სულ მცირე 100 კილოგრამ ჩაის კრეფს. წვიმიან ამინდში რომ არ იმუშაოს, ფოთლებიც გაუხმდება და ეს 100 კილოგრამიც დაიკარგება.

მერე რამდენი წვიმიანი დღე იყო სეზონში! რამდენი ასი კილოგრამი უნდა დაეკარგა!

— არა! ოლია უშვერიძეს წარმატების საიდუმლოება სწორედ ის არის, რომ არც ერთ კილოგრამს არ კარგავს.

ეწერი მიწაა მდინარე ოღოს პირზე. პატარა წვიმა, და მალე ატალახდება. ფეხსაცმელი უმძიმდება ქალს. მაგრამ... აი საწვიმარი კოხტად მოირგო, რეზინის ფეხსაცმლის ყელი აიწია, კალათი მოიმარჯვა, კვლებს ჩაუდგა.

ამორჩავდა კრეფაში გაწაფული თითები, ერთდროულად დაიძრა ორივე ხელი. მერე და, შემოუსვლელი დუყები არ შეეპაროს, ან ფოთლის ხარისხი არ გაუარესოს, ან კიდევ თუნდაც ერთი ვარგისი ყლორტი დაკარგოს.

შარშან ოლია უშვერიძემ მოიკრიფა რაიონის „ჩემპიონის“ წოდება მოიპოვა. მიჩნეულ 0,5 ჰექტარზე მოკრიფა 10.108 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ამასთან მთელი ამ ნედლეულის 83 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო.

ათ ტონაზე მეტი!..

ჯერ კიდევ არავის არასოდეს არ მოუკრეფია რაიონში ამდენი ნედლეული.

წელს აბა შარშანდელზე ნაკლებს ხომ არ მოკრეფდა. ნოვატორმა მეჩაიემ იკისრა იმავე ნაკვეთზე სულ მცირე 10 ტონა ნედლეული მიიღოს. კვლავ გამარჯვება. მოკრეფილი აქვს 10.771 კილოგრამი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ოლია უშვერიძე ჭეშმარიტად „მწვანე ოქროს“ დიდოსტატია!

ახლა ნონა გურეშიძის შემცვლელი ერთადერთი როდია სოფელში. ოლია უშვერიძეს მხარს უმშვენებენ მისივე გაზრდილები — ვენერა ფანცხავა, მავრა ზვიადაძე, ნარგიზა ჩოგოვაძე, მერი ფანცხავა, ლუბა ზვიადაძე, ნანული გიორხელიძე, ქეთო კოღუაშვილი და სხვები, რომელთაგან თვითეულს 5-დან 7 ტონამდე ჩაის ფოთოლი აქვს მოკრეფილი.

ოლია უშვერიძე ახალი ზღუდეების ასაღებად იბრძვის. კრეფის ყოველი დღე ნოვატორის ახალ და ახალ გამარჯვებებზე მეტყველებს.

შ. ჯავახაძე.

შრომა დაუფასდათ

წალენჯიხა. (საკ. კორ.). ჩვენი პარტიის ყრილობის შესახვედრად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში წალენჯიხელმა მეჩაიეებმა ახალ გამარჯვებას მიაღწიეს.

რაიონის მეჩაიეებმა სასახელოდ შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის ვალდებულება. 17 ოქტომბრისათვის მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 1.002 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული. ვალდებულება კი 1.000 ტონის მოკრეფას ითვალისწინებდა. სულ რაიონში სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 12.350 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“. მოკრეფილი ფოთლის 70 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

წელს, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, წალენჯიხელმა მეჩაიეებმა ტრადიციას არ უღალატეს. მცხუნვარე მზეში თუ კოკისპირულ წვიმებში ყველანი პლანტაციებში გადიოდნენ ჩაის საკრეფად. რაც შეიძლება მეტი ჩაი სამშობლოს! — ასეთი დევიზით იბრძოდნენ ისინი, და შედეგიც კარგია. მოპოვებული წარმატება პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო აქტივის, ყველა მეჩაიის თავდადებული შრომის შედეგია.

კვლავ ისახელეს თავი მოწინავე კოლმეურნეობებმა და ჩაის საბჭოთა მეურნეობამ. დიდი ხვედრითი წონა აქვს მეჩაიეობაში ჩაის საბჭოთა მეურნეობას (დირექტორი ა. კვარაცხელია, პარტიული კომიტეტის მდივანი ტ. თვალთვაძე). მეურნეობამ 2.500 ტონის ნაცვლად მოკრიფა და მრეწველობას ჩაბარა 2.600 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული.

რაიონში წელს თითქმის ყველა კოლმეურნეობამ ისახელა თავი, მაგრამ უკეთესთა შორის კვლავ პირველობას ინარჩუნებენ საჩინოს „კოლმეურნეობა „კომუნიზმის“ (თავმჯდომარე ღ. ჭანტურია), ლიის კოლმეურნეობა „თბილისის“ (თავმჯდომარე შ. გეთია), წალენჯიხის პირველი მაისის სახელობის (თავმჯდომარე ა. ჭანტურია), აგრეთვე მიქავას, ჯვარის კოლმეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო არტელები.

მეტი ჩაისათვის გაჩაღებულ საერთო-სახალხო ლაშქრობაში კვლავ სასახელოდ შრომობდნენ ნოვატორი მეჩაიეები სოფიო შონია, სულიკო სამუშია, ლამარა შელია და ბევრი სხვა მეჩაიე კოლმეურნე.

წალენჯიხელმა მეჩაიეებმა მართალია გეგმაც შეასრულეს, ვალდებულებაც, მაგრამ ეს თვითდამშვიდების უფლებას როდი აძლევს მათ. მეჩაიეებმა, სპეციალისტებმა, პარტიულმა და საბჭოთა აქტივმა უკვე დაიწყო ზრუნვა მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წვიმაში, ქარში

0,8 ჰექტარზე 11.000 კილოგრამი ფოთოლი

ჯერ არ ამოსულა, სოფელ საჯიჯაოში უკვე დიდი ხანია ფხიზლობენ. ბებერ, ძუკებში მიდიან კაცები, ქალები, ზოგი თობით, ზოგი კალათით...

— შეხედეთ რა ადრე დაუწყია ჩაის კრეფა იმ დალოცვილიშვილს! — სთქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ე. ებანოძეს, ქსენია კვალიშვილისათვის მოსავლად მიჩენილ ჩაის პლანტაციას რომ მიუახლოვდა.

ქსენია კვალიშვილს ფართოფარფლებიანი ჭილობის ქუდი ეხურა, წელზე ცალთა მიემაგრებინა და ფოთოლს ორივე ხელით ისე სწრაფად კრეფდა, რომ მზისგული გაოცებაში მოჰყავდა. იქვე მუშაობდნენ ვაჟებიც, მათ შორის ისეთებიც, წინათ კრეფას ქალების საქმედ რომ თვლიდნენ და კალათების აკიდებას ამაკლობდნენ.

შუადღე იყო, როცა კოლმეურნეობის მანქანა შემოვიდა პლანტაციაში.

— ძალიან არ მოგვაყარეთ ჩაი? ახლა, მგონი, ვერც აუვიდეთ ფოთლის გადაზიდვას, — თქვა მძღოლმა და მკრეფველებს გადახედა.

— აბა რა გეგონა? თვითეული მკრეფავი დღეში 80-100 კილოგრამ ფოთოლს კკრეფთ. აი, გადახედე, რამდენი კრეფავია. შენ ცოტა მარჯვედ იყავი, ბორბალზე გადახიდე, ფოთოლი არ გაგვიფუჭო, თორემ, იცოდე, პასუხისგებაში მოგიყენებ, — გაეხუმრა ქვალიშვილი.

— დღეში 100 კილოგრამი ჩაი, — გაკვირვა მძღოლმა.

— ამაზე ადვილი რა არის აბა ერთი ბიჭიერ, — უპასუხა ქსენიამ, მიუბრუნდა ბუჩქებს და ჩაის „კრეფას შეუდგა.

ზუგდიდის რაიონის სოფელ საჯიჯაოს კოლმეურნემ, საკოლმეურნეო შრომის ნოვატორმა ქსენია კვალიშვილმა შვიდლეტის მეექვსე წელს იკისრა მოსავლად მიჩენილ 0,8 ჰექტარზე მიეღო 8 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ფაქტიურად დაეალება დიდი გადაკარბებით შეასრულა. წელს მისი პირობა იყო მოეკრიფა თერთმეტი ათასი კილოგრამი „მწვანე ოქრო“ ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.500 კილოგრამისა.

პირობის გასანაღდებლად ცოტა შრომა როდი გასწია ქსენია კვალიშვილმა. დაეინებული წვიმების დროსაც კი ჩაის პლანტაციაში იყო და კრეფდა ფოთოლს.

შვიდწლედის მეშვიდე წლის ოქტომბრის მეორე ხუთდღიური იყო. კოლმეურნეობის კახტორაში საანგარიშო დარგის მუშაკები აჯამებდნენ ფოთლის კრეფის სეზონიდან დაწყებული მუშაობის შედეგებს, ადგენდნენ სიებს — ვის რამდენი კილოგრამი ჩაის ნედლეული აქვს მოკრეფილი.

უკვე თერთმეტი ათასი კილოგრამი! ეს ციფრი ჩაიწერა ქსენია კვალიშვილის წიგნაკში. ყველას გაუკვირდა — ასე ადრე ამდენი ფოთოლი როგორ მოკრიფაო. კვლავ გადასინჯეს საბუთები, ყოველდღიური ნაკრეფის უწყისები, მაგრამ აქ გასაკვირველი არაფერი ყოფილა. თავდადებულმა შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო. საკოლმეურნეო შრომის ნოვატორმა ქსენია კვალიშვილმა სიტყვა საქმედ აქცია.

ჩვენ დაგვაინტერესა ქსენია კვალიშვილის მიერ მოვლილმა 0,8 ჰექტარმა ჩაის პლანტაციამ, მოპოვებულმა წარმატებებმა, მუშაობის ხერხებმა. ამის შესახებ ქსენია კვალიშვილმა მოგვითხრა:

პლანტაციაში ბავშვობიდანვე ვმუშაობ. ამ ხნის განმავლობაში პრაქტიკული დაკვირვებით დიდი გამოცდილება შევიძინე, თვითეული ბუჩქი ყოველმხრივ მაქვს შესწავლილი, ვიცი, რას მოითხოვს, რა დროს და რა პირობებში შეიძლება მოგვცეს უხვი მოსავალი, არ ვაკლებ მოვლას. აი შეხედეთ ბუჩქებს. ფოთოლი ფართო, ნაზი და მსხვილია. უწინარეს ყოვლისა მოვახდინე მცენარეთა შერჩევა. პლანტაციას მოვაცილე დაავადებული, დაზიანებული და ზრდაში ჩამორჩენილი ბუჩქები, მოვსპე სიმეჩხერე, შემდეგ დავტოვე ზრდისა და დატოტვის მიხედვით უკეთესი, ღონიერი ბუჩქები. ეს ჯიშობრივი შერჩევისათვის პირველად გადადგმული ნაბიჯი იყო.

მთავარ ყურადღებას ვაქცევ მოვლას, ნიადაგის დამუშავებას, სასუქების შეტანას. აგროქიმიის წრეში მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკულად გამოვიყენე. თუ მანამდე პლანტაციებში სასუქები ბრმად შემქონდა, ამიერიდან ასე როდი ვიქცევი. სასუქები შემაქვს წინასწარ ნიადაგის შესწავლის შემდეგ, დაგეგმილი მაქვს როდის რა სამუშაო შევასრულო.

შემოდგომაზე ნიადაგის დამუშავების წინ სასუქს თანაბრად განაწილებ მიწის ზედაპირზე და შემდეგ ნიადაგს ვბარავ 20-25 სანტიმეტრ სიღრმეზე. ადრე გაზაფხულზე არა ერთ ღერ სარეველა ბალახს არ ვტოვებ. მოკლე დროში ვამთავრებ ბუჩქების გასხვლასა და გამოწმენდას. თვითეულ ბუჩქს ვასხლავ ინდივიდუალური მიდგომით, რათა კრონა თანაბარი, ნორმალური სიმაღლისა და განიერი გამოვიდეს.

ვასხლავ არა მარტო ბუჩქის თავს, არამედ მის გვერდებსაც. გვერდებზე დაფენილ ტოტებს ვაჭრი. ვაცლი გამხმარ, დაზიანებულ ნაწილებს. ყოველთვის ვუნარჩუნებ ბუჩქს 50-70 სანტიმეტრამდე სიმაღლეს. გასხვლის დამთავრებისთანავე სათანადო დონით, ნიადაგის წინასწარ შესწავლის შემდეგ შემაქვს აზოტოვანი სასუქი, რომელსაც ნიადაგში ჩავთოხნი 7 სანტიმეტრის სიღრმეზე, შემდეგ, სასუქის დოზები შემაქვს აგროწესების დაცვით.

ჩაის ბუჩქი სათუთი მცენარეა, პლანტაციების სამუშაოები მეტად შრომატევადია, განუწყვეტელ, ყოველდღიურ ზრუნვას მოითხოვს. ყოველთვის თავს უნდა დასტრიალებდე ბუჩქებს, რომ მუდამ საღი, ღონიერი და უხვმოსავლიანი იყოს. არ შევეჩერებ ყურადღებას სხვა ღონისძიებებზე, როგორიც არის წუნწუხისა და ტორფის შეტანა და სხვ. ასეთი მოვლის შედეგად პლანტაცია ძლიერი და თანაბრად განვითარებულია. ბუჩქზე განუწყვეტლივ შემოდის ფოთოლი.

ქარია თუ წვიმა, პლანტაციაში მუდამ ყოველდღე მიმდება მუშაობა.

აი რით აღწევს გამარჯვებას საკოლმეურნეო შრომის ნოვატორი ქსენია კვალიშვილი. ქსენია მუდამ პლანტაციაშია. ხელსაყრელ ამინდებს ხელიდან არ უშვებს. ხუმრობა ხომ არ არის, სახალხოდ დადო პირობა 0,8 ჰექტარზე წელს სეზონში მოკრიფოთ თერთმეტი ათასი კილოგრამი „მწვანე ოქრო“.

ბარაქალა შენს მარჯვენას, ხობელო მეზაიევ!

შ. ბოჯუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ჩაის ფოთლის კრეფა დიდ შრომას, ენერგიის დაძაბვას მოითხოვს.

იშვიათად როდი შეხვდებით ისეთ სურათს, როცა პლანტაციებში საწვიმარებში გამოწყობილი მეჩაიეები კრეფენ ჩაის ფოთოლს. განსაკუთრებით წელს ჩვენმა მეჩაიეებმა წვიმაში, ქარში, სიცხეში, სტიქიასთან ბრძოლაში გამოჭედეს სახელოვანი გამარჯვება, ბუნებას ხელიდან გამოჰგლიჯეს იმის მაქსიმუმი, რის მიცემაც მას შეეძლო.

სურათზე: ჩაის ფოთლის კრეფა წვიმაში, ქობულეთის რაიონის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო ს. კილაძისა.

გარჯის ნაყოფი

გეგეჭკორის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეჩაიეებს წელს „მწვანე ოქროს“ კრეფა ამინდის არახელსაყრელ პირობებში მოუხდათ, მაგრამ სიძნელეები დაძლეულ იქნა. გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. მოიკრიფა 8.425 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 8.355 ტონისა. ეს მაჩვენებელი მარშანდელს 120 ტონით სჯობობს.

წელს ჩაის ფოთლის კრეფაში სასახელო მაჩვენებლები მოიპოვეს დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშაებმა. აქაურებმა ვალდებულება იკისრეს წელს მოეკრიფათ 2.080 ტონა ფოთოლი. დიდი ჭყონელმა მეჩაიეებმა პირობა შეასრულეს, მოკრიფეს და სახელმწიფოს შეაყიდეს 2.260 ტონა ნედლეული.

ჩვენი სიტყვა და საქმე

ზვიდწლედის დამამთავრებელ წელს ვალდებულება იკისრე 0,5 ჰექტარზე მომეკრიფა 5.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.500 კილოგრამისა.

პლანტაციის კარგი მოვლის შედეგად ვალდებულებას ათასი კილოგრამით გადავაჭარბე. სულ მოკრიფე 6 ათასი კილოგრამი „მწვანე ოქრო“.

ც. ურუშაძე,
ლანჩხუთის რაიონის სოფელ ხორეთის კოლმეურნეობის მეჩაიე.

როდესაც ფოთლის კრეფის სეზონი იწყებოდა, გადავწყვიტე საერთო ლაშქრობაში ჩემი წვლილიც შემეტანა, 0,5 ჰექტარზე მომეკრიფა 5 ათასი კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.800 კილოგრამისა. მიუხედავად უამინდობისა, მოკრიფე 5.317 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული და ამით წლიურ გეგმას 1.517 კილოგრამით გადავაჭარბე.

თ. ვასაძე,
ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკნარის კოლმეურნეობის მეჩაიე.

„საქართველოს“ სიკეთე

ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული ჩაის მოვლა-დამუშავებისა და კრეფის კომპლექსური მექანიზაცია. მთელ რესპუბლიკაში ცნობილია ინგირელ მექანიზატორთა წარმატება ჩაის ფოთლის კრეფაში. ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ სიკეთე განუზომელია. მიუხედავად უამინდობისა, შარშანდელთან შედარებით ამ მგრძნობიარე მანქანით წელს 105 ტონით მეტი ფოთოლი მოკრიფეს.

მეურნეობის საერთო წარმატებაში ჩვენ რგოლსაც მიუძღვის წვლილი. „საქართველოთი“ მან 70 ტონა „მწვანე ოქრო“ მოკრიფა, გეგმა კი 65 ტონას ითვალისწინებდა.

ამ მიღწევებში გარკვეული წვლილი მიუძღვით რგოლის წევრებს გ. კვარაცხელიას, ნ. ბორდაჩევს, ა. როგოზენკოს და სხვებს, რომლებიც ყოველდღიურ გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ.

მომავალ წელს ჩვენი რგოლი მანქანებით 100 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს მოკრეფს.

ს. აფხაზავა,
ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური.



ამთავითვე მოვამზადოთ

ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი მძლავრი მეურნეობაა რესპუბლიკაში. 1.028 ჰექტარზეა გადაჭიმული ჩაის უხვმოსავლიანი პლანტაცია. მეჩაიეებს „მწვანე ოქროს“ უხვი მოსავლის მიღების საუკეთესო ტრადიცია აქვთ, ყოველწლიურად ზრდიან მოსავალს, აუმჯობესებენ ნედლეულის ხარისხს.

ჩვენს მეურნეობაში ოთხი წელია ფოთოლს კრეფს ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“. თვითეული მანქანა დღეში ცვლის 25-30 მუშას, ამასთან ერთად იძლევა დიდ ეკონომიას. მაგალითად, ხელით კრეფის დროს ერთი ტონა ჩაის ნედლეულის დამზადება გვჯდება 438 მანეთი, მანქანით კრეფის დროს კი ერთი ტონა ჩაის ფოთლის დამზადებაზე იხარჯება მხოლოდ 380 მანეთამდე. ისიც საყურადღებოა, რომ მანქანით კრეფის დროს ჩაის ნედლეული დაუზიანებლად ბარდება წარმოებას, პროდუქციის ხარისხიც უკეთესია.

მეურნეობაში 19 მანქანა „საქართველო“ მუშაობს, შექმნილია ჩაის მექანიზებული კრეფის კომპლექსური რგოლები. სასახელო შედეგები აქვს იმ კომპლექსურ რგოლს, რომელსაც ვ. სანაძე ხელმძღვანელობს. სანაქებოდ შრომობენ მანქანით ჩაის კრეფის ოსტატები, მექანიზატორები თ. სანიკიძე, ნ. ანდრიევი და სხვები. მარტო ვ. სანაძის რგოლმა წელს 110 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. სულ მანქანებით მიმდინარე სეზონში მოკრეფილია 875 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ლაითურში მექანიზებული კრეფისათვის მომზადებული გვაქვს 150 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. აქედანვე შევუდექით მუშაობას, რომ მომავალი სეზონისათვის, დამატებითი მოვამზადოთ სულ ცოტა 55 ჰექტარი მაღალმოსავლიანი ჩაის პლანტაცია, ამისათვის ვწმენდთ პლანტაციის კიდურებს, რათა მანქანამ თავისუფლად იმოძრაოს, მობრუნდეს მწკრივების თავში. გასხვლის დროს მოვაწყობთ ბუჩქების დაბლა გასხვლას. ამ შუმთხვევაში ბუჩქის სიმაღლის დონე თანაბარი იქნება და მოსახერხებელიც მანქანის მუშაობისათვის.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მანქანით კრეფა ჩაის კრეფა დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა. ჯერ ერთი, კრეფის კულტურა მაღალია, მეორე, და ეს მთავარია, ჩვენს მეჩაიე ქალებს დიდად შეუმსუბუქდათ მძიმე შრომა.

მეურნეობის კოლექტივი ამთავითვე ზრუნავს იმისათვის, რომ მომავალ წელს ერთიორად გაზარდოს მექანიზებულად საკრეფი პლანტაციების ჰექტარები და მოიპოვოს ახალი წარმატება.

ვ. ბეიშვილი,
მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი.

საკლესიო განცხადება

ამ ბოლო დღეებში ცნობები მოდის, რომ იმპერიალისტური და კოლონიალისტური ძალები აბზადებენ ახალ ბოროტმოქმედებას აფრიკის ხალხთა წინააღმდეგ. საქმე ეხება სამხრეთ როდეზიის — ზიმბაბვეს აფრიკელთა იმ ქვეყნის გადაქცევას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მსგავს რასისტულ სახელმწიფოდ, რომელსაც სასტიკად ჩაგრავენ ინგლისელი კოლონიზატორები და ადგილობრივი თეთრკანიანი რასისტები. ვახსაკუთრებით გაძლიერდა სამხრეთ როდეზიის თეთრკანიან რასისტთა საქმიანობა ამ მიმართულებით მათი ლიდერის იან სმიტის ინგლისის მთავრობის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების მორიგი ტურის შემდეგ, რომელიც ამას წინათ დამთავრდა. ლონდონიდან დაბრუნებისას სმიტმა განაცხადა, რომ სამხრეთ როდეზიის „დამოუკიდებლობას“ უახლოეს დროშივე გამოაცხადებენ.

არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ სამხრეთ როდეზიაში ძალაუფლებს შენარჩუნება თეთრკანიან რასისტთა ხელში იმპერიალისტური და კოლონიალისტური ძალების, ინგლისის, ამერიკის, დასავლეთ გერმანიისა და სხვა მონოპოლიების უფრო ფართო გეგმის ნაწილია. მათი მიზანია დაბრკოლება შეუქმნან აფრიკას მისი მთლიანად განთავისუფლების გზაზე, თავიანთი ბატონობა შეინარჩუნონ აფრიკის კონტინენტის სამხრეთ ნაწილში მაინც. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი ეთამაშა სამხრეთ როდეზიას. მას დიდმნიშვნელოვანი პოზიცია უჭირავს იმ კოლონიური ფრონტის ცენტრში, რომელიც მიმართულია აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოებისა და აფრიკის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა წინააღმდეგ.

სამხრეთ როდეზიის გადაქცევას თეთრკანიან რასისტთა „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოდ, უეჭველია, მოჰყვება დიდად სახიანი შედეგები აფრიკისათვის, გამოიწვევს საერთაშორისო მშვიდობისათვის საფრთხის ახალი ერის წარმოშობას.

ბუნებრივია, რომ სამხრეთ როდეზიის საკითხთან დაკავშირებით ახლა გამსაკუთრებულ ყურადღებას იაყრობს ინგლისის მთავრობის პოზიცია, რომელსაც აკისრია პასუხისმგებლობა ყველაფრისათვის, რაც ამ კოლონიაში ხდება, და რომლის პირდაპირი მოვალეობაა ბოლო მოუღოს რასისტულ სახელმწიფოდ ზამბაბვეს ქვეყნის გადაქცევის ცდებს და მისცეს მის ხალხს ნამდვილი დამოუკიდებლობა. როგორია ეს პოზიცია?

ინგლისის მთავრობა აცხადებს, რომ იგი არა თუ მხარს არ უჭერს სამხრეთ როდეზიელ რასისტებს, არამედ აპირებს წინააღმდეგობაც გაუწიოს მათი გეგმების განხორციელებას. მაგრამ ინგლისის მმართველი წრეების საქმეები, ყოველ შემთხვევაში ამ ბოლო დრომდე, საწინააღმდეგოს მოწმობს. ჯერ კიდევ 1961 წელს, როცა შემოიღეს სამხრეთ როდეზიის რასისტული კონსტიტუცია, ინგლისმა ამ ქვეყნის აფრიკელი მოსახლეობის მიმართ ძალაუფლება გადასცა თეთრკანიან უმცირესობას. ამის შემდეგ ინგლისის მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა მიუხედავად სამხრეთ როდეზიის ადგილობრივ ხელისუფლებს გადასცა ბევრი თანამედროვე იარაღი. ინგლისის მთავრობა არსებითად მფარველობდა პორტუგალიელ კოლონიზატორებთან და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კაცთმოძულე რეჟიმთან სამხრეთროდეზიელი რასისტების ანტიაფრიკული კავშირის შექმნას, კავშირისა, რომელიც ამჟამად აფრიკის სამხრეთ ნაწილში კოლონიალიზმის მთავარი საყრდენია.

საბჭოთა კავშირში კარგად ესმით ის შეშფოთება, რასაც აფრიკის ბევრი სახელმწიფო და აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია გამოთქვამენ სამხრეთ როდეზიის ამბების გამო. საბჭოთა ხალხი, რომელიც მუდამ უჭერს მხარს კოლონიურ ხალხთა ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სავსებით ზიმბაბვეს ხალხის მხარეზეა, მხარს უჭერს მის მოთხოვნას — გაეუქმონ 1961 წლის რასისტული კონსტიტუცია, საპატმროებიდან და საკონცენტრაციო ბანაკებიდან გაათავისუფლონ ამ ქვეყნის თავისუფლებისათვის ყველა მებრძოლი, მოაწყონ არჩევნები დემოკრატიული პრინციპის „ერთი კაცი — ერთი ხმა“ საფუძველზე და დაუყოვნებლივ გამოიყენონ ზიმბაბვეს ქვეყნისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

ხელმძღვანელობდა რა ამ პრინციპული პოზიციით, საბჭოთა კავშირმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XX სესიაზე მხარი დაუჭირა რეზოლუციას, რომელიც შეიცავს მოთხოვნას — არ იქნას დაშვებული სამხრეთ როდეზიაში რასისტთა ხელისუფლების დამკვიდრება და მოწოდებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფოსადმი — არ ცნონ სამხრეთ როდეზიის „დამოუკიდებლობა“, თუ მას თეთრკანიანი უმცირესობა გამოაცხადებს.

საბჭოთა კავშირის ავტორიტეტულ წრეებში ითვალისწინებენ იმას, რომ თუ სამხრეთროდეზიელი რასისტები ჩაიდენენ დანაშაულებრივ აქტს — დაკანონებენ თავიანთ რასისტულ რეჟიმს სამხრეთ როდეზიაში, საბჭოთა კავშირი არ ცნობს ასეთ რეჟიმს და აფრიკის ქვეყნებთან ერთად ყოველი ღონისძიებით დაუჭერს მხარს ზიმბაბვეს ოთხმილიონიან ხალხს მის სამართლიან და კანონიერ ბრძოლაში თავისუფლებისა და ნამდვილი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

**ინგლისის მმართველ წრეებს, ინგლისის ოფიციალურ ადგილებს, ინგლისის ბურჟუაზიულ ინტელიგენციას, ინგლისელ ხალხს ეკისრებათ ისეთი ბრძოლა, ისეთი ბრძოლა, ისეთი ბრძოლა, ოღონდ ინგლისელ ხალხს ეკისრებოდეს ეს

ᲤᲘᲚᲛᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ რამდენიმე ხანი დაჰყო უნგრელმა კინორეჟისორმა და მხატვარმა იანოშ მატამ. იგი მუშაობს ფილმზე „ზიჩი საქართველოში“.

იანოშ მატა ავტორია რამდენიმე საკმაოდ ცნობილი მულტიპლიკაციური ფილმისა, კვლავ პუბლიცისტურ-ჟურნალისტურ მოღვაწეობას, ქმნის დოკუმენტურ ფილმებს.

გასულ წელს იანოშ მატა შემოქმედებითი მივლინებით პირველად ეწვია საბჭოთა კავშირს. მან ითვალთვალა ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში, გაეცნო საბჭოთა მულტიპლიკატორების შემოქმედებას.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე იანოშ მატა დიდი სიყვარულით სწავლობს ჩვენს კულტურას, ჩვენს ისტორიას. მან დაიწყო გადაღება დოკუმენტალური ფილმისა „თბილისი“, აგრეთვე განიხრახა შექმნას ციკლი კინორეპორტაჟებისა ქართული კულტურის მოღვაწეებზე. მისი გადაღებული ერთი ასეთი კინორეპორტაჟი „პროფესორი დავით ციციშვილი“ კიდევაც ნახეს უნგრელმა ტელემაყურებლებმა. იანოშმა შექმნა მეორე ასეთი კინორეპორტაჟი „ლადო გუდიაშვილი“.

რაც შეეხება წლევანდელ მის ჩამოსვლას საქართველოში, იგი მას მთლიანად უძღვნის მიხეილ ზიჩის მოღვაწეობის ამსახველი მასალების შეგროვებას.

იმის შესახებ, თუ როგორ აქვს მას ფილმი ჩაფიქრებული და რა უნდა ასახოს ამ კინოსურათში, სიტყვა თვით იანოშ მატას მივცეთ.

— მიხეილ ზიჩის სახელი ფართოდ არის ცნობილი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ზიჩიმ დასურათა ჩვენი სახელოვანი მოღვაწეების შანდორ პეტეფის, იოანან არანის, ემირიხ მადაჩის ნაწარმოებები. მას ეკუთვნის პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, რუსთაველის ნაწარმოებთა ბრწყინვალე ილუსტრაციები.

ზიჩის, რუსეთის სამეფო კარის ამ დიდი მხატვრის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მრავალი მონოგრაფია შეიქმნა უნგრეთში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ უნგრელებისათვის ჯერ კიდევ უცნობია ზიჩის საქართველოში მოღვაწეობის პერიოდი, როგორც ცნობილია, ზიჩი ორჯერ ეწვია საქართველოს. მთელი 7-8 წელი მოანდომა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების შექმნას. ბუნებრივია, ინტერესს იწვევს გავიგოთ, საქართველოს რომელ კუთხეში იყო ზიჩი, ვის ხვდებოდა იგი აქ, რა დაგვიტოვა საქართველოზე „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებს გარდა. ეს ამბები ნაკლებად არის ჩვენთვის ცნობილი.

მე მინდა ფილმში სწორედ ზიჩის ბიოგრაფიის ეს თეთრი ფურცლები შევავსო.

საქართველოში წამოსვლისას ვინახულე ზიჩის შესანშნავი მეცოდნე ილონა ბერკოვიჩი. მან მირჩია ზიჩის შესახებ მასალების შეგროვებისას პირველ რიგში დახმარებისათვის მიმემართა ხელოვნებათმცოდნე ბენო გორდეზიანისათვის, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინათ გამოსცა მონოგრაფია „ზიჩი საქართველოში“.

მადლობით უნდა მოგიხსენიო პატივცემული ბენო, რომელმაც დიდი დახმარება გამიწია ამ საქმეში, მომაწოდა ჩემთვის საჭირო ცნობები ბევრი მასალა.

დიდი დახმარება გამიწიეს ამ საქმეში აგრეთვე საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო და თეატრალური მუზეუმის თანამშრომლებმა. აქ ვნახე ზიჩის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებისათვის დადგმული ცოცხალი სურათების ფოტოები. განზრახული მაქვს ფილმში შევიტანო ეს სურათები, აგრეთვე ვნახო თბილისსა და ქუთაისში ის პირები, რომლებიც ამ დადგმებში იღებდნენ მონაწილეობას.

მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო საქართველოს საზოგადოებრიობისაგან მხარდაჭერა, რამაც გამაბედვინა კიდევ უფრო გულმოდგინედ მომეკიდა ხელი ამ სამუშაოსათვის. საქმე ის არის, რომ როცა თბილისის ტელესტუდიის დირექციას შევთავაზე იდეა შეგვექმნა ბუდაპეშტისა და თბილისის ტელესტუდიების ერთობლივი მოკლემეტრაჟიანი ფილმი ზიჩის მოღვაწეობაზე საქართველოში, მათ ეს იდეა სიამოვნებით მიიღეს და თავის მხრივ ფილმის თანაავტორად კიდევაც გამოყვეს რეჟისორი ს. ეგლასიშვილი.

და აი ჩვენ ერთად დავიწყეთ სცენარისათვის მასალების შეგროვება.

ახლა შევეხები იმას, თუ როგორ ვფიქრობთ ფილმის დადგმას.

ფილმის ძირითადი იდეა იქნება უნგრელი და ქართველი ხალხების მეგობრობა. ფილმში განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა ზიჩის როგორც ხელოვანის დაბადებას. ამ მიზნით მინდა პირადად ვნახო და დავთვალიერო ის გზები, რომლებიც ლერმონტოვს გაუვლია საქართველოში. ლერმონტოვი აქ შემოხვევით არ მოხსენებია. როგორც ამ დიდი რუსი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესანიშნავი მკვლევარი ირაკლი ანდრონიკოვი აღნიშნავს, ზიჩი პირველად საქართველოში იმ განზრახვით ჩამოვიდა, რომ შეექმნა „დემონის“ ილუსტრაციები.

ფილმის დამთავრება განზრახული გვაქვს რუსთაველის საიუბილეო თარიღისათვის. ეს ჩვენი მხრივ ერთგვარი საჩუქარი იქნება უნგრელი და ქართველი ტელემაყურებლებისათვის.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილებამ თავისი გამგეობის წევრს ბ. გორდეზიანს დაავალა კონსულტაცია გაუწიოს ი. მატასა და ს. ეგლასიშვილს ფილმზე მუშაობისას.

ლ. ᲮᲣᲒᲣᲚᲣᲠᲘ.

ᲓᲘᲚᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲙᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲐᲨᲘ. ფოტოტიპია ლ. ვაჩიბერაძისა.

„ᲪᲮᲠᲐᲗᲐᲕᲐᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ“ ᲡᲘᲥᲕᲗᲘ

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). სოფელ წესიდან კარგა მოშორებით გადმოჩქეფს. მთის ანკარა წყარო, რომელსაც აქ „ცხრათავას წყაროს“ ეძახიან. რაკი ველი გლეხები დიდიხანია ოცნებობდნენ წყაროს წყალი სოფლამდე მიეყვანათ. და აი, ასრულდა მათი ნატვრა.

კოლმეურნეებმა საზოგადოებრივი შრომით ოთხ კილომეტრ მანძილზე გათხარეს ღრმა თხრილი და ჩაადგეს უჟანგავი ლითონის მილები.

ამ ღღეებში მოეწყო წყალსადენის ქსელის გამოცდა. მთის წყალი სოფელში მოვიდა.

ᲙᲝᲛᲝᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სასპორტო ბაზები დიდი სპორტული პაექრობის არენა გახდა. მაყურებლები მოწმენი არიან ჩემპიონატებისა, საერთაშორისო შეხვედრებისა, სადაც ახალგაზრდობასთან ერთად გამოდიან ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილი სპორტსმენები.

ერთ-ერთ ასეთ ასპარეზობას წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატი მძლეოსნობაში ახალგაზრდა სპორტსმენებისათვის (19-20 წლის). ეს შეჯიბრება იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ მასში კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ ისეთი სახელმოხვეჭილი მძლეოსნები, როგორიც არიან ი. პრესი, ი. ტერ-ოვანესიანი, ი. ფელდი და სხვ.

საერთო ყურადღება მიიპყრო თარჯრბენმა 80 მეტრზე ქალთათვის, სადაც კონკურსგარეშე გამოდიოდა დინამოელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. პრესი. ფინალში მან აჩვენა დრო 10.3 წამი და მსოფლიოს ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲓᲐᲐᲛᲧᲐᲠᲐ. წინანდელი რეკორდი, ეკუთვნოდა ავსტრალიელ სპორტსმენს ჯ. კილბორნს და უდრიდა 10.4 წამს. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სეზონში ი. პრესმა ორჯერ გაიმეორა მსოფლიოს რეკორდი — 10.4 წამი და ბოლოს თბილისში, ჩვენს სტადიონზე შეძლო ბრწყინვალე წარმატების მოპოვება. თბილისელები დიდხანს უკრავდნენ ტაშს ახალ მსოფლიო რეკორდმენს.

პირველ დღეს წარმატება ხვდა აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს ქუთაისელ სპორტსმენს ი. კოზელსკის. 400 მეტრზე თარჯრბენში ვაუთათვის მას ზადალი არ ჰყავდა. ფინიშთან პირველი იყო და ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝᲑᲐ ᲛᲝᲘᲞᲧᲠᲐ.

110 მეტრზე თარჯრბენში ვაუთათვის წარმატება ხვდა Ა. ᲛᲝᲠᲝᲖᲝᲕᲡ, სიგრძეზე ხტომაში ქალთათვის Თ. ᲥᲘᲛᲝᲮᲝᲕᲐᲡ. ბადროს ტყორცნაში ვაუთათვის — Ვ. ᲐᲜᲢᲠᲝᲞᲝᲕᲡ, 100 მეტრზე რბენაში ქალთათვის — Გ. ᲑᲣᲨᲐᲠᲘᲜᲐᲡ.

გუშინ ჩემპიონატის უკანასკნელი დღე იყო.

კიდევ ერთი რეკორდით აღინიშნა ჩემპიონატი. ეს წარმატება ხვდა Ი. ᲚᲣᲡᲘᲡᲡ. მან შუბი ტყორცნა 86 მეტრსა და 56 სანტიმეტრზე და სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲓᲐᲐᲛᲧᲐᲠᲐ. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიდან კარგი შედეგები აჩვენეს: სიმაღლეზე ხტომაში — Ჯ. ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔᲛ (მეორე ადგილი ქალთა შორის), თარჯრბენში 100 მეტრზე — Თ. ᲠᲐᲕᲚᲝᲕᲐᲛ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა — „ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ“, „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“, „ᲢᲠᲣᲓᲝ“.

დასასრულ საუკეთესო სპორტსმენებს გადაეცათ უფრნალ-გაზეთების რედაქციებისა და ორგანიზაციების მიერ დაწესებული პრიზები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოთ — ი. პრესი მსოფლიო რეკორდის დამყარების შემდეგ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე; ქვემოთ — სსრ კავშირის ჩემპიონი ი. კოზელსკი (ქუთაისი).

ფოტო კლ. გინზბურგისა.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲓᲐᲤᲜᲘᲡ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲗ ᲨᲔᲐᲛᲐᲯᲔᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საკუტო დარბაზში ᲫᲚᲔᲠᲯᲣᲚᲘ დიდადმა მოყვარულმა მოიყარა თავი. აქ გაიმართა Ნ. ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ და Ა. ᲙᲣᲨᲜᲘᲠᲘᲡ მატჩის დახურვისა და მსოფლიოს ჩემპიონის Ნ. ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ დაჯილდოების საღამო.

საღამო მისასალმებელი სიტყვით გახსნა ლატვიის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარემ რიხარდ ელსბერგმა. მატჩზე და Ნ. გაფრინდაშვილის წარმატების შესახებ ილაპარაკა მთავარმა არბიტრმა Ნ. ᲒᲠᲣᲨᲯᲘᲗᲐ-ᲑᲔᲚᲘᲪᲘᲡ. მანვე მსოფლიოს ჩემპიონი შეაჯო დფნის გვირგვინი.

რიხარდ ელსბერგმა ფასიანი სახელჩრებით დააჯილდოდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი Ნ. ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ და პრეტენდენტი Ა. ᲙᲣᲨᲜᲘᲠᲘ.

დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝᲑᲐᲛᲓᲔ — ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გაიმართა ასუჯრედიან ᲨᲐᲨᲘᲜ მსოფლიოს პირველობის მე-15 პარტია Ვ. ᲨᲐᲠᲒᲝᲛᲔᲚᲘᲡ და Ი. ᲙᲣᲠᲘᲠᲛᲔᲚᲘᲡ შორის.

გათამაშდა ახალი ფრანგული პარტიის ბერლიანი ვარიანტი, სადაც მოწინააღმდეგეებს დებიუტიდან თანაბარი პოზიცია ქჰქონდათ. შუა თამაშში მსოფლიოს ჩემპიონმა Ვ. ᲨᲐᲠᲒᲝᲛᲔᲚᲘᲡ რამდენადმე პერსპექტიული პარტია მიიღო, მაგრამ Ი. ᲙᲣᲠᲘᲠᲛᲔᲚᲘᲡ ᲨᲣᲚᲘᲡ თამაშით უვნებელყო მოწინააღმდეგის ტაქტიკური მუქარები და 56-ე სვლაზე ყაიმი-ᲛᲘᲜᲐ ᲛᲘᲦᲬᲐ.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 10.5 Ი. ᲙᲣᲠᲘᲠᲛᲔᲚᲘᲡ სასარგებლოდ. მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად მას დარჩენილი ხუთი პარტიიდან ნახევარი ქულა სჭირდება.

Თ. ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ.
ოსტატობის კანდიდატი.

ᲛᲝᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗ, ᲛᲝᲒᲒᲘᲮᲐᲠᲘᲐ

ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲜᲐᲡᲐᲕᲔᲗ ᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ
ᲩᲐᲘᲡ ᲛᲙᲠᲔᲤᲐᲕᲘᲡ ᲗᲝᲗᲘᲗᲔᲑᲘ,
ᲐᲘᲜᲘᲡᲗ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ
ᲞᲐᲪᲐᲠᲘᲔᲑᲘᲗ ᲗᲣ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲗ.
ᲙᲠᲔᲤᲔᲜ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲤᲔᲜ ᲒᲣᲚᲣᲮᲯᲐᲓ,
ᲙᲐᲠᲒᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲠᲘᲐ.
ᲬᲕᲘᲛᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲥᲐᲠᲘᲐ,
ᲪᲔᲚᲘ ᲔᲮᲔᲑᲘᲠᲔᲑᲐ ᲫᲛᲐᲠᲘᲐ.
ᲓᲐᲰᲕᲘᲓᲐ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲑᲐᲠᲐᲥᲐ:
— ᲛᲘᲒᲕᲘᲓᲔᲑᲗ? ᲛᲬᲐᲓ ᲮᲐᲠᲗ,
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲗ?

ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲐᲦᲔᲗ ᲙᲐᲠᲘᲐ,
ᲒᲝᲠᲓᲘᲐᲜᲘ, ᲧᲣᲗᲘᲐᲜᲘ, ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘᲗ
ᲛᲝᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗ, ᲛᲝᲒᲒᲘᲮᲐᲠᲘᲐ!

Ჯ. ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.



ნახატი ი. ᲙᲝᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲒᲣᲨᲘᲜ Ჯ. ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ სახელმწიფო თეატრი ჩვენი დედაქალაქის ბრირი სტუმარი გახდა. თბილისელებს ახსოვთ მახარაძელთა საგასტროლო რეპერტუარი „მოკვეთილი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „მაცი ხვიტია“, „მე ვხედავ მზეს“, „ეახშმობის წინ“, „აპრაკუნე“ და „უსაშველო მაშველები“.

მახარაძის სახელმწიფო თეატრი ამჟამად კვლავ თბილისის სტუმარია. ამჯერად თეატრმა თავისი ორი ახალი ნამუშევარი ჩამოიტანა.

გუშინ ჯ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე მახარაძელებმა წარმოადგინეს ი. ოტჩიანაშვილის „რომეო და ჯულიეტა ᲧᲣᲗᲘᲐᲜᲘᲨᲘ“ (ინსცენირების ავტორები — ი. კაკულია და ნ. გაჩავა). სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს ლ. ᲫᲐᲫᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, მხატვრობა — შ. დარჩიას, მუსიკალური გაფორმება — ვლ. ბერიძეს.

სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ ი. ქადეიშვილი (ირეი), ი. არობელიძე (ირეის მამა), გ. ბაქაძე (ესთერი), მ. წიგნაძე (ჩეპეკი), ბ. ლომძე (რაისეკი), ჯ. კეკენაძე (ძმაბუტარი) გ. ახატელოვი, რ. სარიშვილი და ი. ჯიჯეიშვილი.

დედაქალაქის მაყურებელმა მახარაძელთა ახალი სპექტაკლი გულთბილად მიიღო. დღეს წარმოდგენილ იქნება ბერძენი დრამატურგის ნ. პერიალისის „ბაბთიანი გოგონა“ (დადგმა ლ. ᲫᲐᲫᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ).

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 23 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. (საკედლის კორ.). საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ძველი და თავისთავადია ქართული კერამიკა და ოქრომჭედლობა. დღეს აქ აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გიიხსნა თანამედროვე ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა. აქ წარმოდგენილია თითქმის 60 ოქრომჭედლისა და კერამიკოსის ნაწარმოები.

აქ არის თიხის ლარნაკები და ჭურჭლეული, თიბილისი და ბრინჯაოს პანოები, ფინები. დიდი ოსტატობით, გემოვნებით, ხელოვნების ეროვნულ თავისებურებათა გრძნობით არის გაკეთებული საექსპოზიციოდ წარმოდგენილი ნამუშევრები.

ვერნისაჟზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა კ. ა. ᲙᲐᲜᲩᲐᲕᲔᲫᲘᲛ. მან აღნიშნა, რომ ოქრომჭედლობისა და კერამიკის ნაწარმოებთა მსგავსი გამოფენა ჯერ არ ყოფილა საქართველოში. და ის, რომ ეს გამოფენა მოსკოვში მოეწყო, მას მიაჩნია აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მუშაკთა დიდ დამსახურებად.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲛᲝᲜᲢᲔᲡᲘ. დღეა ჩვენს რესპუბლიკაში იმყოფებიან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ე. შტახალსკი, აგრეთვე პოლონეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი კურილოვიჩი და ვარშავის მედიცინის აკადემიის ოროთოპედიისა და რეაბილიტაციის კათედრის გამგე, დოცენტი ვეისი, რომლებიც შტახალსკისთან ერთად ჩამოვიდნენ. საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს პოლონელ მეგობრებს ასლავს რუსეთის სფსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თავადარი სამმართველოს უფროსი ს. მიხაილოვი.

ჩვენი პოლონელი მეგობრები საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მოწვევით.

სტუმრები ორი დღის განმავლობაში ეცნობიდნენ საქართველოს დედაქალაქს, დათვალიერეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს საავადმყოფო.

კვირას ე. შტახალსკი და მისი თანმხლები პოლონელი მეცნიერები შეხვდნენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს Ხ. საყვარელიძეს. მან სტუმრებს გააცნო, თუ როგორ არის დაყენებული ჯანმრთელობის დაცვა რესპუბლიკაში.

პოლონეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დიდად დაინტერესა სოფლად სამედიცინო მომსახურების დაყენების საკითხმა, სასწრაფო დახმარების მუშაობამ, მოსახლეობის საკურორტო მომსახურებამ.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ე. შტახალსკი და მისი თანმხლები პირნი იყვნენ ბორჯომში, სადაც დათვალიერეს მთელი რიგი სანატორიუმები. შემდეგ გაემგზავრნენ წყალტუბოში, იქიდან კი ეწვევიან სოხუმს. (საქლისი).

ᲚᲐᲢᲕᲘᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲘ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ. (საკ. კორ.). აქ საგასტროლოდ იყო ლატვიის რესპუბლიკის გულბენის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ლატვიელთა ხელოვნებამ მოხიბლა მახარაძელი მაყურებელი.

ᲡᲢᲐᲠᲢᲘ ᲙᲘᲔᲕᲨᲘ, ᲤᲘᲜᲘᲨᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲢᲐᲜᲛᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ

უკვე ტრადიციად დამკვიდრებულ იაპონელი და საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ახალგაზრდობას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ გიგანტთა მატჩი. და მართლაც, სპორტის ამ სახეობაში ორივე ქვეყნის წარმომადგენლებს მსოფლიოში ბადალი არა ᲰᲧᲐᲕᲗ.

სსრ კავშირისა და იაპონიის გუნდების რიცხვით მესამე შეჯიბრებას, რომელიც გასულ კვირადღეს დამთავრდა, სტარტი კიევში ᲰᲭᲛᲜᲓᲐ, ფინეში კი მოსკოვში. სპორტის მოყვარულებმა ნახეს უძლიერესთა ოსტატობა, ჩინებული ტექნიკა, სხვადასხვა იარაღზე მომზიბლელი ვარჯიში.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით კიევის შეხვედრათა შედეგებს მრავალჭიდსა და გუნდურ პაექრობაში. როგორც ცნობილია, წარმატება მახპინძლებს ხვდათ. იქიდან იაპონელები მოსკოვს ეწვევნენ და ორი დღის განმავლობაში საბჭოთა ტანმოვარჯიშეებთან პაექრობა ᲰᲭᲝᲜᲓᲐᲗ ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშში ოქროს სამახსოვრო მედლებისათვის. განსაკუთრებით მიმზიდველი იყო უკანასკნელი დღის, 24 ოქტომბრის დასკვნითი ასპარეზობა.

საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალები ამ დღესაც ჩინებულად გამოვიდნენ. მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურა ნ. ᲙᲣᲨᲘᲜᲡᲙᲐᲘᲐᲛ. მან დვირზე და თავისუფალ ვარჯიშში მიიღო მაღალი შეფასება — 9,9 ქულა და ორივე სახეობაში პირველი ადგილი დაიკავა. ქალთა შორის წარმატებით გამოვიდა აგრეთვე საბჭოთა სპორტსმენი Შ. ᲓᲠᲣᲪᲘᲜᲘᲜᲐ.

ვაჟთა შორის ბჯენით ხტომებში ყველას აჯობა Ვ. ᲚᲘᲝᲜᲩᲘᲔᲕᲛᲐ (9,8 ქულა). ორძელზე ვარჯიშში სამმა სპორტსმენმა ს. ᲓᲘᲐᲕᲘᲓᲝᲕᲛᲐ (სსრ კავშირი), მ. ᲗᲐᲮᲩᲘᲐᲜᲘᲡᲗᲐᲛᲘ და Ი. ᲐᲘᲒᲐᲛᲘ (იაპონია) მოაგროვეს 9,8 ქულა თვითეულმა და გაიყვეს პირველი ადგილი. სამივეს გადაეცა ოქროს სამახსოვრო მედალი.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ღერძზე ვარჯიში. აქ ყველას სძლია იაპონელმა ᲗᲐᲙᲐᲡᲘ ᲙᲐᲢᲝᲛᲘ (9,8 ქულა). მომდევნო საპრიზო ადგილი ერთობაშად ხუთმა სპორტსმენმა (მათ შორის ოთხმა საბჭოთა ტანმოვარჯიშემ) გაიყო. თვითეულმა მათგანმა 9,7 ქულა შეაგროვა.

ამრიგად, ცალკეულ იარაღზე შეჯიბრებაშიც წარმატება საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ. ამ გუნდების მორიგი შეხვედრა გაიმართება ტოკიოში.

ᲠᲡᲣᲡᲠ IV ᲖᲝᲜᲐᲨᲘ

ᲠᲡᲣᲡᲠ მეოთხე ზონის „ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდების 24 ოქტომბრის მატჩების შედეგები ასეთია: „ფოლადი“ (სუდგაითი) — „მეშახტე“ (ტყიბული) — 0:2, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „შირაქი“ (ლენინაკანი) — 1:1, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ლერნაგორცი“ (კაფანი) — 1:0, „დინამო“ (სოხუმი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — 4:2, „კოლხიდა“ (ფოთი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — 0:0, „ენგური“ (ზუგდიდი) — „დინამო“ (მახაჩყალა) — 1:1, „დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (ბაკო) — 1:1.

ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘ ᲩᲐᲠᲗᲔᲡ

24 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ თბილისის ძერკინსკის სახელობის კლუბში დაიწყო ვაჟთა პირველი საერთაშორისო ტურნირი ᲯᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ.

პირველ ტურში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლების რ. ᲯᲘᲜᲯᲘᲰᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ და ა. ᲑᲘᲯᲣᲩᲐᲨᲕᲘᲡ შეხვედრა დამთავრდა პირველის გაძარჯვებით, იუგოსლავიელმა გროსმაისტერმა მ. დამიანოვიჩმა მოუგო ბულგარელ ი. რადულოვს, ბ. შოიმმა (რუმინეთი) — ვ. პიტჩს (გერმანია-ის დემოკრატიული რესპუბლიკა), რ. ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲘᲩᲛᲐ (იუგოსლავია) — უნგრელ ლ. ნავაროვსკის. გროსმაისტერ ა. ᲚᲔᲚᲘᲜᲤᲐᲚᲘᲡᲐ (მოსკოვი) და ვ. იანსას (ჩეხოსლოვაკია), რ. ᲤᲣᲯᲚᲘᲡᲐ (გდრ) და ა. ᲙᲝᲚᲐᲠᲝᲕᲘᲡ (ბულგარეთი) პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება, შედეგი აგრეთვე მეორე ტური. გადადებულ პარტიებში გაიმარჯვეს Ბ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔᲛ, ა. ᲑᲣᲚᲐᲔᲕᲛᲐ და რ. ᲮᲝᲚᲛᲝᲕᲛᲐ.

მეორე ტური მშვიდობიანი აღმოჩნდა. ᲙᲝᲚᲐᲠᲝᲕᲘ — ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ, ᲨᲝᲘᲛᲘ — ᲯᲘᲜᲯᲘᲰᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲝᲚᲛᲝᲕᲘ — ᲘᲐᲜᲡᲐ, ᲜᲐᲕᲐᲠᲝᲕᲡᲙᲘ — ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ, ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ — ᲤᲣᲯᲚᲘ და ᲐᲚᲐᲢᲝᲠᲪᲔᲕᲘ—ᲑᲣᲚᲐᲔᲕᲘ ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ, 25 ოქტომბერს, Გ. ᲧᲐᲠᲔᲚᲨᲘ გაიმართა საქართველოს სსრ ფეხბურთისა და ნიჩბოსნის 1965 წლის მეთე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი. ტირაჟში გათამაშდა 112.500 მოგება 187.500 მანეთის თანხისა.

სანამ მოგებათა ტირაჟის ოფიციალური ცხრილს გამოვაქვეყნებდეთ, გთავაზობთ რამდენიმე დიდი მოგების ნომერს.

ავტომანქანა „ᲕᲝᲚᲒᲐ“ ხვდა 24786 სერიის № 226 ბილეთს. ავტომანქანა „ᲛᲝᲡᲙᲕᲘᲩᲘᲡ“ მფლობელები გახდებიან ის პირნი, ვისაც აქვს ლატარიის 22838 სერიის № 477, 23324 სერიის № 301, 23964 სერიის № 320, 24065 სერიის № 336, 24524 სერიის № 098 ბილეთები.

ავტომანქანა „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘ“ ხვდა 23180 სერიის № 160, 23563 სერიის № 266, 23828 სერიის № 218 ბილეთებს. ᲞᲘᲐᲜᲘᲜᲝᲡ მოგებები გაიჩარებენ 22860 სერიის № 158,